საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 934/1
25/01/2021

934-1-2-202101251643

**საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს**
**ბატონ ლევან დავითაშვილს**

**ბატონო ლევან,**

გაცნობებთ, რომ შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია", დაბა აბასთუმანის წყალარინების სისტემების გაუმჯობესების მიზნით, გეგმავს ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობისა და წყალარინების სისტემების მშენებლობა-ექსპლუატაციას დაბა აბასთუმანის ტერიტორიაზე. აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 23 მაისის #2-445 ბრძანების საფუძველზე გაცემულია სკოპინგის #45 დასკვნა (18.04.2019).

სკოპინგის დასკვნის პირობებისა და საქართველოს ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" შესაბამისად, შემდგომში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ, ამ კოდექსის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ შემდეგ გარემოსდაცვით დოკუმენტაციას:

1. დაბა აბასთუმნის წყალარინების სისტემების გაუმჯობესების მიზნით წყალარინების სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა-ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში - 1 ეგზ;
2. დაბა აბასთუმნის წყალარინების სისტემების გაუმჯობესების მიზნით წყალარინების სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი - 2 ეგზ;
3. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევის ნორმების პროექტი - 2 ეგზ;
4. არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზ;
5. საპროექტო ტერიტორიის Shape ფაილები;
6. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
7. მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;


საქართველო, თბილისი 0186
ვაჟა-ფშაველას გამ. 76ბ
ტელ: (99532) 2919060
ს/კ: 412670097
e-mail: info@water.gov.ge
www.water. gov.ge
76b, Vazha-Pshavela Ave.
Tbilisi 0186, Georgia
Tel: (995 32) 2 91 90 60

8. პროექტის ინფრასტრუქტურული გეგმები.

ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტები წარმოდგენილია როგორც ნაბეჭდი, ასევე, ელექტრონული ვერსიის სახით.

საკონტაქტო პირი: ლიზა ჭოველიძე
ელ.ფოსტა: l.chovelidze@water.gov.ge
ტელეფონი: +995 599 91 30 30

პატივისცემით,

ირაკლი ნაფეტვარიძე

დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში